



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

კვლევის პოლიტიკა (2018-2025)

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 27/02/2018 - ოქმი №:4 (დანართი №:1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

პრორექტორი სამეცნიერო-კვლევით
მომზადა: დარგში

შეამოწმა: რექტორი

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო

დოკუმენტის კოდი : IBSU.PL5.G
ვერსია № : 1.00
განახლების თარიღი : n/a
დამტკიცების თარიღი : 27.02.2018

შემოწმებული ვერსია

შსს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ პრორექტორს სამეცნიერო-კვლევით დარგში.

შინაარსი

აბრივიატურა/დეფინიციები.....	4
1. შესავალი	5
1.1. ზოგადი წინაპირობა	5
1.2. უნივერსიტეტის მისია	5
1.3. უნივერსიტეტის ხედვა	6
2. წინაპირობა	6
2.1. კვლევისადმი მიდგომა	6
2.2. ჩარჩო.....	6
2.3. კვლევებთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური მონაცემები	8
3. კვლევის პრინციპები	9
3.1. აკადემიური თავისუფლება.....	9
3.2. ეთიკა.....	9
3.3. გარემო	9
3.4. კვლევის როლი როლი აკადემიური წინსვლისთვის	9
4. კვლევა	10
4.1. აკადემიური წახალისება.....	10
4.2. კვლევის შედეგები	10
4.3. კვლევითი ცენტრები	10
4.4. პროექტები	12
4.5. პუბლიკაციები	12
4.6. სამეცნიერო ღონისძიებები.....	13
5. შესაძლებლობების შექმნა	15
5.1. ახალგაზრდა მკვლევარები	15
კონფერენციები	15
5.2. ტრენინგები.....	16
5.3. პერსონალის მოზიდვა	16
6. ინტერნაციონალიზაცია / კვლევითი ქსელის გაფართოება	17
6.1. ერთობლივი ძალისხმევა სამეცნიერო ღონისძიებებში	17
6.2. გაცვლა, რომელიც გზას უხსნის ახალ კვლევებს.....	17
6.3. ელექტრონული ბაზების გამოწერა	18
6.4. წევრობები.....	18

7. გამოყენებული ლიტერატურა 18

აბრევიატურა/დეფინიციები

COST	მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ევროპული თანამშრომლობა
IBSU	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
HEI	უმაღლესი განათლების დაწესებულება
EU	ევრო კავშირი
EC	ევროკომისია
Faculty	შსსუ-ის ძირითადი აკადემიური ერთეული (სკოლა, მაგ.: ბიზნესის მართვის ფაკულტეტი)

1. შესავალი

1.1. ზოგადი წინაპირობა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შსსუ) ორი მთავარი ფუნქცია ცოდნის გადაცემა და სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობაა. აკადემიურ პერსონალს ამ ფუნქციების განხორციელება და შესაბამისად, თავიანთ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება, მხოლოდ კონკრეტულ პირობებში შეუძლია. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს პირობებს, რომლებსაც შსსუ კვლევების განხორციელებას უდევს საფუძვლად.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს პრორექტორი სამეცნიერო-კვლევით დარგში, რომელიც ზედამხვედველობას უწევს სამეცნიერო ღონისძიებებს, კვლევით ცენტრებს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებსა და პუბლიკაციებს. პრორექტორი ასევე მოიძიებს კვლევის კომპონენტის დაფინანსების შესაძლებლობებს და ატყობინებს შესაბამის პერსონალს ასეთის არსებობის შემთხვევაში. ეს ღონისძიებები 7 წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება. სტრატეგიულ გეგმაში იდენტიფიცირებულია შემდეგი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ავტორიზაციის ახალი სტანდარტის მიხედვით:

- მიზანი 2.1. მულტიდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა, საზოგადოების საკეთილდღეოდ
- მიზანი 2.2. კვლევის ინტეგრაცია განათლების პროცესში
- მიზანი 2.3. კვლევის ხარისხის ამაღლება

1.2. უნივერსიტეტის მისია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია ასახულია სტრატეგიულ გეგმაში (2018-2025) შინაგანაწესზე (RIG) დაყრდნობით. „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შსსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში.“ ამგვარად, გამოყენებითი კვლევის ხელშეწყობა უნივერსიტეტის საქმიანობებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

1.3. უნივერსიტეტის ხედვა

უნივერსიტეტის ხედვაში მაღალი ხარისხის გამოყენებითი კვლევა ერთ-ერთი ძირითადი მიზანია:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდება საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების, ეფექტური მენეჯმენტის, კვლევებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ, რაც თავის მხრივ, ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა და უწყვეტი სწავლების პრინციპის განხორციელება.

2. წინაპირობა

2.1. კვლევისადმი მიდგომა

შსსუ-ში ძირითადად გამოყენებითი კვლევის მეთოდოლოგია გამოიყენება. გამოყენებითი კვლევის მიზანია საზოგადოების, ან ინდუსტრიული/ბიზნეს ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა მაშინ, როდესაც ფუნდამენტალური კვლევა ძირითადად ორიენტირებულია განზოგადებასა და თეორიის ჩამოყალიბებაზე (Kothari, 2004, გვ.3). გამოყენებითი კვლევა არა-სისტემატური ძიებაა და როგორც წესი, ინიცირებულია კომპანიის, სააგენტოს, ან ინდივიდის მიერ კონკრეტული პრობლემის ირგვლივ (Bajpai, 2011). გამოყენებითი კვლევა მეცნიერების პრაქტიკული გამოყენებაა. შესაბამისად, კვლევითი ცენტრების მიზანი საკლასო გარემოში შეთავაზებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული ასპექტების ძიებაა.

2.2. ჩარჩო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები, ისევე, როგორც მსოფლიოში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ძირითადი სტანდარტები, გარე და შიდა საკითხების იდენტიფიცირებას ითხოვს პროცესის ფარგლების ჩამოყალიბებამდე.

შიდა დოკუმენტები მოხსენიებული იქნება დოკუმენტში. შსსუ-ს სტრატეგიაში გათვალისწინებულია შემდეგი გარე დოკუმენტები:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“;
4. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ;
5. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულის თანახმად:

„ეს კანონი ქმნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს, რაც ქვეყნის ინტელექტუალური და ტექნოლოგიური პროგრესის და კეთილდღეობის საწინდარია. სახელმწიფო აღიარებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და ეკონომიკის წინსვლას. იგი უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ ნაწილთა, განვითარებას და სამეცნიერო კვლევა შემოქმედებითი საქმიანობის ფორმად მიაჩნია.“

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (2018) აღნიშნულია, რომ საქართველოს კვლევითი რეიტინგი დაბალია (73-ე 2012 წელს) (გვ. 24), მაგრამ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს „გამოყენებით კვლევებს მათთვის სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვადასხვა ინსტრუმენტების დანერგვის გზით“ (გვ. 26). სრულად გასაგები არ არის, როგორ/თუ შეძლებენ კერძო სასწავლო დაწესებულებები ისარგებლონ ამ დაფინანსებით, თუმცა მოყვანილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამოყენებითი კვლევები ქვეყნის პრიორიტეტია.

„ევროპა 2020“-ის სტრატეგიაში (2018) გათვალისწინებულია, რომ კვლევებისა და განვითარებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი ევროკავშირის მშპ-ს 3% უნდა იყოს. საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმება არ მოიაზრებს რაიმე ახალს კვლევების სფეროში. ის მხოლოდ ევროკავშირის არსებულ პოლიტიკას ეყრდნობა, რაც *ღია ინოვაციას, ღია მეცნიერებას და მსოფლიოსთვის ღიაობას* გულისხმობს (ევროკავშირი, 2018). *ღია ინოვაციის* მიზანი გამოყენებითი კვლევების მნიშვნელობაშია, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება კვლევებში გამოცდილი არაკადემიური პერსონალის მოზიდვა, დაგროვილი ცოდნის გავრცელება და ახალ ბაზრებზე შეღწევა. *ღია მეცნიერების* მიზანი მოტივაციას აძლევს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, დაინტერესებული მხარეები კვლევაში თავიდანვე და მის ყოველ ფაზაში ჩართონ სხვადასხვა ეტაპზე მიღებული შედეგების მისაწვდომ პლატფორმებზე და მსგავსი საშუალებებით გაზიარების გზით. ამ განზრახვას ავტომატურად მიყვავართ შემდეგ მიზნამდე (*მსოფლიოსთვის ღიაობამდე*), რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობაზე ფოკუსირებული.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ასევე პირდაპირ მიუთითებს კვლევების მნიშვნელობაზე უმაღლესი განათლების სფეროში და სამეცნიერო კვლევებს განსაზღვრავს, როგორც ხარისხიანი სწავლებისა და

სწავლის საფუძველს. მასში ასევე ნახსენებია განათლებაში, ცოდნის გადაცემასა და ინოვაციებში კვლევების ინტეგრაციის საკითხები. კანონი წახალისებს სასწავლო დაწესებულებებს, რომ მათ კვლევითი მუშაობა განათლების სამივე საფეხურზე ჩართონ და მისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნან. ზემოაღნიშნული კანონი ყურადღებას უთმობს ამ მიზნისთვის საჭირო ადამიანური რესურსების გაძლიერებას.

აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების შესაძლებლობა, რასაც “Horizon 2020“ და “COST“ ახორციელებს, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურასა და ელექტრონულ ბაზებთან წვდომის აუცილებლობა და ის ფაქტი რომ, 21 საჯარო უმაღლესი სასწავლებელი ELSEVIER-თან არის დაკავშირებული სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით, რაც კერძო სასწავლებლებს პროცესის გარეთ ტოვებს. შსსუ ცდილობს ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად დახვეწოს თავისი წესები და რეგულაციები, ასევე კვლევითი ინფრასტრუქტურა.

2.3. კვლევებთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური მონაცემები

ცოტა ხნის წინ შსსუ-მ შეიმუშავა სისტემა, რომელშიც დაცულია ყველა შესაბამისი ინსტიტუციონალური მონაცემი, მათ შორის კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ძალიან მალე შსსუ ბოლო ტენდენციებისთვის თვალყურის დევნებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას საინფორმაციო პანელების მეშვეობით შეძლებს.

კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაცია ამჟამად შემდეგი სათაურების ქვეშ იყრის თავს:

- შსსუ-ს-ს ჟურნალები (პუბლიკაციები, დადასტურებული დოკუმენტები, უარყოფილი დოკუმენტები, თანავტორებთან ერთად შექმნილი მასალა და მათი ქვეყნები)
- პუბლიკაციები (სხვა გამოქვეყნებული მასალები და მათი სახეები, საერთაშორისო მკვლევრებთან თანავტორობით შექმნილი პუბლიკაციები, გამოქვეყნების წელი, გამომცემელი და ა.შ.)
- კვლევითი ცენტრის თანამშრომლები
- კვლევითი ცენტრის სამუშაო გეგმები
- კვლევითი ცენტრის საქმიანობა
- ინფორმაცია შსსუ-ს ჟურნალების კომისიის წევრთა შესახებ
- კონფერენციები (სახელი, წელი, მონაწილეთა რაოდენობა, ტიპი, ჩატარების ადგილი და ა.შ.)
- კონფერენციის სესია
- საბიუჯეტო საკითხები
- შეთავაზებული აკადემიური წახალისება

3. კვლევის პრინციპები

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ამტკიცებს კვლევასთან დაკავშირებულ შემდეგ პრინციპებს:

3.1. აკადემიური თავისუფლება

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი განსაზღვრავს შემდეგ საკითხს:

მეცნიერს უფლება აქვს:

- A. განახორციელოს მეცნიერული კვლევა-ძიება გარედან ნებისმიერი ჩარევის გარეშე და გამოქვეყნოს კვლევის შედეგები წინასწარი განწყობების გაუთვალისწინებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან კვლევები სახელმწიფო საიდუმლოს შემცველია;
- B. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო გამოკვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები.

3.2. ეთიკა

ეთიკა მნიშვნელოვანი საკითხია სამეცნიერო სამყაროში. თავის თანამშრომლებსა და სტუდენტებს უნივერსიტეტი სახელმძღვანელო პრინციპებს სთავაზობს, რათა თავიდან იქნას აცილებული პლაგიატი. აღნიშნული პრინციპები ხელს უწყობენ პატიოსნებას და მთლიანობას, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას, ობიექტურობას, კერძობას, სიფრთხილეს, ღიაობას, ინტელექტუალური საკუთრების და პიროვნების უფლებების პატივისცემას, კონფიდენციალურობას, პასუხისმგებლიან პუბლიკაციებს და კანონიერებას.

3.3. გარემო

შსსუ-მ უნდა უზრუნველყოს კვლევისთვის შესაფერისი გარემო. ნათელია, რომ რესურსები შეზღუდულია და უნივერსიტეტს არ შეუძლია ყველა მოთხოვნის დაფინანსება დააკმაყოფილოს. თუმცა, შსსუ-მ უნდა გამოჰყოს კვლევისთვის საჭირო საოფისე ფართი, აღჭურვილობა და უზრუნველყოს შესაბამის რესურსებზე წვდომა.

3.4. კვლევის როლი როლი აკადემიური წინსვლისთვის

კვლევის საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს აკადემიურ წინსვლაში (R1F52 – აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ფორმა; R19 – აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმებისა და შერჩევის დებულება). აკადემიური პერსონალი წახალისებულია, გამოაქვეყნოს ხარისხიანი კვლევები, რათა დააგროვოს ქულები კარიერული წინსვლისთვის და ხელშეკრულებების გასაგრძელებლად.

4. კვლევა

4.1. აკადემიური წახალისება

2013 წლიდან უნივერსიტეტს გააჩნია „აკადემიური წახალისების დებულება“ (R14), რომელიც 2018 წელს გადაიხედა. წახალისების ფორმების ჩამონათვალი ცალკე შემუშავდა, რათა პერსონალისთვის იოლი იყოს მათი ერთ გვერდზე გაცნობა (R14L1).

დებულება ძირითადად აფილირებული აკადემიური პერსონალის ფინანსურ წახალისებას უზრუნველყოფს, რათა მათ შეძლონ „საკუთარი“ ბიუჯეტიდან სარგებლის მიღება. ბიუჯეტი გარკვეულ წილად ფარავს ადგილობრივ და უცხოეთში გამართულ კონფერენციებში მონაწილეობის, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების, პატენტის მისაღებად საჭირო, კორექტურის, წიგნების ან წიგნის თავების ბეჭდვის ხარჯებს. არააფილირებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული და ადმინისტრაციული თანამშრომლები ასევე აკადემიური წახალისების სარგებელს მიიღებენ, თუ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნებენ მასალას.

წახალისების საკითხი წელიწადში ორჯერ განიხილება რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ (რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისათვის წახალისების გაცემის შესახებ). ფაკულტეტების საბჭოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კომისია წყვეტს გამოქვეყნებული პუბლიკაციებისთვის წახალისების მოცულობას.

4.2. კვლევის შედეგები

ფაკულტეტებს თავიანთი კვლევითი მიმართულებები გააჩნიათ, რომელიც საკუთარ ვებ-გვერდებზე აქვთ მითითებული. მათ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების მრავალწლიანი ტრადიციები აქვთ. მაგალითად „ბრეშუმის გზის კონფერენციების“ სერია ყოველწლიურად ფაკულტეტის ეგიდით იმართება.

4.3. კვლევითი ცენტრები

საქართველოში „კვლევების“ საკითხისადმი ყურადღების სულ უფრო მეტად გამახვილების გამო და კვლევის ხარისხის გაზრდის მიზნით, სამი წლის წინათ შხსუ-მ ათი კვლევითი ცენტრი შექმნა, რათა გაეზარდა თავისი კვლევების შედეგიანობა და კვლევა სწავლის პროცესისთვის დაეკავშირებინა. მაგრამ ყველა ცენტრმა ვერ შეძლო თავდაპირველი მოლოდინის დაკმაყოფილება, რის გამოც მათი რაოდენობა 2017 წლის ოქტომბრისთვის შემცირდა. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის - ინოვაციებისა და კვლევების გაუმჯობესების კუთხით დასაკმაყოფილებლად, შხსუ-მ ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ქვეშ შეიყვანა კვლევისა და ინოვაციის მიმართულება.

ამჟამად სამეცნიერო-კვლევით დარგში პროგრესის აპარატის ქვეშ ორი კვლევითი ცენტრი არსებობს:

1. საერთაშორისო კვლევების ცენტრი
2. ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრი.

საერთაშორისო კვლევების ცენტრი მუშაობს შემდეგ საკითხებზე:

- ამერიკისმცოდნეობა;
- შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა;
- ევროპისმცოდნეობა;
- ჩინეთისმცოდნეობა.

საერთაშორისო კვლევების ცენტრი მუშაობს შემდეგ საკითხებზე:

- სწავლა - სწავლება;
- ეკონომიკის კვლევები;
- კვლევა და ინოვაცია.

კვლევითი ცენტრების მთავარ მიზნებს წარმოადგენს:

- გამოყენებითი კვლევების წარმოება შესაბამის სფერო(ებ)ში ;
- ხარისხიანი პუბლიკაციების შექმნა;
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის, წერიტი მონაცემების სრულყოფისთვის ბლოგების შექმნა;
- კვლევის ინტეგრაცია განათლებაში, განსაკუთრებით, დოქტორანტთა განვითარების ხელშეწყობა შემდეგი გზებით:
 - მათთვის საკვლევი თემების შეთავაზება;
 - დისერტაციის თემის დაზუსტებასა და შეკვეცაში დახმარება;
 - კვლევის დაფინანსება: საპროექტო შეთავაზებების დაწერა;
 - შხსუ-ს თანამშრომლებთან და/ან საერთაშორისო მკვლევრებთან ერთად საერთო სტატიების შექმნა, როცა/თუ შესაძლებელია;
 - მათი წახალისება შხსუ-ს ჟურნალებისთვის სტატი(ებ)ის შესაქმნელად;
 - მკვლევრებისთვის სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება, რითაც ხელი შეეწყობა მათი დისერტაციებისა და ქსელის განვითარებას;
 - დახმარება საერთაშორისო ოპონენტების, ხელმძღვანელების, ასევე, როცა შესაძლებელია, რეცენზენტთა მოძიებაში;
 - კვლევათა ცენტრის საქმიანობაში მათი ნებაყოფლობითი და/ან ანაზღაურების გარეშე ასისტენტებად ჩართვა;

ასევე, შხსუ რამდენიმე შერჩეულ დოქტორანტს აფინანსებს უცხოეთში მათი კვლევების ხარისხის ასამაღლებლად.

სტანდარტიზაციის დონის შესანარჩუნებლად, შხსუ-მ სტუდენტებისთვის შეიმუშავა გზამკვლევები და შაბლონები, რათა ხელი შეუწყოს მათ თავიანთი კვლევითი ნაშრომის წერის დაწყებაში.

კვლევითი ცენტრები უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან თანამშრომლობენ. ასეთი თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია - სტუდენტები იკვლევენ ბაზარს კარიერის დაგეგმვის სამსახურის ინიციატივით, ხოლო შედეგები გამოიყენება ინტერდისციპლინარული კვლევის ცენტრის მიერ სამეცნიერო კვლევითი მიზნებისათვის.

საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა კვლევითი ცენტრების მუშაობის კიდევ ერთი მიმართულებაა. მაგალითად, შხსუ-მ გააფორმა შეთანხმება საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტთან ("UIBE"), შექმნა SINO – საქართველოს კომპეტენციის ცენტრი (რომელიც ამჟამად ჩინეთის მცოდნეობის მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო კვლევების ცენტრში), რათა განავითაროს კვლევითი პროექტები და ხელი შეუწყოს აკადემიურ ურთიერთობებს, მათ შორის საერთო კონფერენციებს და მრავალფეროვან პროექტებს საქართველოსა და ჩინეთს შორის.

4.4. პროექტები

საპროექტო აპლიკაციებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ კვლევებისთვის დაფინანსების მოზიდვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო წმინდა კვლევითი პროექტი, შხსუ-მ მონაწილეობა მიიღო TEMPUS-ის სამ პროექტში, ასევე შავი ზღვის აუზისა და ვიშეგრადის პროექტებში. ევროკავშირის პროექტებიდან მიღებული გამოცდილება დაეხმარა პროექტების დებულების (R34) შექმნაში, რომელშიც პროექტის მართვის პროცესი არის ჩამოყალიბებული.

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 10 მიმართულებით გასცემს გრანტებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. შხსუს-თვის შემდეგი მათგანია შესაფერისი:

1. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
2. საინჟინრო, მაღალ-ტექნოლოგიური მასალები;
3. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაცია.

ხარისხიანი კვლევისათვის შესაბამისი დაფინანსება მნიშვნელოვანია. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევარებს, მონაწილეობა მიიღონ პროექტებში, რითაც გამოიმუშავენ მათი სამომავლო კარიერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარს.

4.5. პუბლიკაციები

სამეცნიერო ჟურნალები

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფაკულტეტები შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებს გამოსცემენ (<https://journal.ibsu.edu.ge/>):

- შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალი (<https://jeps.ibsu.edu.ge/>)
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი (<https://jh.ibsu.edu.ge/>)
- სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი (<https://jss.ibsu.edu.ge/>)
- ტექნიკურ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ჟურნალი (<https://jtst.ibsu.edu.ge/>)

- ბიზნესის ჟურნალი (<https://jb.ibsu.edu.ge/>)

მიხედვად იმისა, რომ შსს-ს ფაკულტეტების ჟურნალების მიზანი კვლევით აქტოვობებში უფრო მეტი დოქტორანტების ჩართვა და მათთვის საკუთარი სტატიების გამოსაქვეყნებელი საშუალების მიცემაა, აღნიშნული ჟურნალები ბევრ სტატიას იღებენ ადგილობრივი და საერთაშორისო მკვლევრებისგან. ამჟამად ჩვენ ვაკვირდებით სტატიების ამ ნაკადს, მიღებულ და უარყოფილ დოკუმენტებს თითოეული ჟურნალისთვის და განვსაზღვრავთ, რა არის გასაკეთებელი მათი ხარისხის გასაზრდელად და დროულად გამოსაქვეყნებლად (მაგალითად, ზოგიერთის შეკვეცა, შეჩერება და ა.შ)

წიგნები და კონფერენციის მასალები

წიგნებისა და მასალების გამოცემა შსს-ს მიერ წარმოებული კვლევითი საქმიანობის ნაწილია. ქვემოთ მოცემულია პუბლიკაციების სახეები და რაოდენობა 2012 წლიდან.

<i>ფაკულტეტი/ინსტიტუტი</i>	<i>წიგნი</i>	<i>ჟურნალი</i>	<i>განიხილება</i>	<i>სულ ჯამი</i>
ბიზნესის მემართვის ფაკულტეტი		5		5
კომპიუტერულ მეცნიერებათა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი		5		5
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	22	10	1	41
სამართლის ფაკულტეტი	3			3
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	5		10
აბრეშუმის გზის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი			7	7
სულ ჯამი	30	25	8	63

ჩვენ ვმონაწილეობთ წიგნის ფესტივალებში (როგორცაა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ყოველწლიურად ორგანიზებული გამოფენა) რათა წარვადგინოთ შსს-ს გამოცემები და ვაწყოთ ღონისძიებებს უნივერსიტეტში ან მის გარეთ ახლადგამოცემული წიგნების პრეზენტაციისთვის.

4.6. სამეცნიერო ღონისძიებები

აბრეშუმის გზის კონფერენციის სერიები

აბრეშუმის გზის კონფერენციების (SRC) სერია 2003 წლიდან დაიწყო (სიტყვა „სიმპოზიუმი“ დასახელებაში 2011 წელს „კონფერენციით“ შეიცვალა). აბრეშუმის გზის კვლევითი ინსტიტუტის, რომელიც 2017 წელს დაიხურა, ორგანიზებით ამ დრომდე 13 ღონისძიება ჩატარდა. კონფერენციების სერია ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება სამეცნიერო და კვლევით დარგში პრო-რექტორის პატრონაჟით. ქვემოთ ჩამოთვლილია SRC-ის მიერ გამართული ღონისძიებები:

- აბრეშუმის გზის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი;

- აბრეშუმის გზის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი BSEC-ის კვლევებში;
- აბრეშუმის გზის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი "შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და ევროკავშირთან ურთიერთობის პერსპექტივები";
- აბრეშუმის გზის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი "ახალი ტენდენციები უმაღლეს განათლებაში";
- აბრეშუმის გზის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი "Via Egnatia: ხალხები და სახელმწიფოები – კულტურული, პოლიტიკური, რეგიონული იდენტობები წარსულში და დღეს";
- აბრეშუმის გზის მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია "გლობალიზაცია და უსაფრთხოება შავი და კასპიის ზღვების რეგიონებში";
- აბრეშუმის გზის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია "მყარი ეკონომიკური განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები ევრაზიულ ქვეყნებში";
- აბრეშუმის გზის მერვე საერთაშორისო კონფერენცია "ტურიზმის განვითარება შავი და კასპიის ზღვების რეგიონებში";
- აბრეშუმის გზის მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია "ბიზნესი, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და განათლება";
- აბრეშუმის გზის მეათე საერთაშორისო კონფერენცია "ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: პერსპექტივები და გამოწვევები";
- აბრეშუმის გზის მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენცია "ინოვაციები ბიზნესში, განათლებაში და მეცნიერებებში";
- აბრეშუმის გზის მეთორმეტე საერთაშორისო კონფერენცია "დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა თანამედროვე გამოწვევები პოლიტიკაში და უსაფრთხოებაში"

2018 წლის მაისში დაგეგმილია მეცამეტე კონფერენცია „მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებისა და ახალი გამოწვევების“ შესახებ.

HALC

HALC-ის კონფერენციების სერია ახალი ინიციატივაა. HALC (History, Art, Literature and Culture) ისტორიას, ხელოვნებას, ლიტერატურასა და კულტურას წარმოადგენს შავი ზღვის რეგიონში და სამხრეთ კავკასიაში. აქამდე HALC-ის 2 კონფერენცია გაიმართა. ის წარმატებით აერთიანებს დარგის მკვლევრებს და საერთაშორისო სცენაზე წარმოადგენს საქართველოს (ქვეყნის თანამედროვეობას, მის წარსულს და კულტურას).

IRCEELT

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განათლების, ენისა და ლიტერატურის საკითხებზე (*IRCEELT*) კონფერენციების კიდევ ერთი სერიაა, რომელიც ტრადიციულად იქცა. ის ერთ-ერთი ცნობილი საერთაშორისო კონფერენციაა რეგიონში და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან იზიდავს მკვლევრებს.

5. შესაძლებლობების შექმნა

5.1. ახალგაზრდა მკვლევარები

შსსუ-ს აქვს საკუთარი კადრების აღზრდის ტრადიცია (შესაძლებლობების განვითარება). რექტორიდან დაწყებული, შსსუ-ში 60 უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მუშაობს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდა მკვლევარებს, რადგან ზოგიერთი მათგანი სავარაუდოდ გახდება ჩვენი კოლეგა.

კონფერენციები

შსსუ ორგანიზებას უწევს საერთაშორისო კონფერენციებს, როგორც ეს მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში. კონფერენციებში მონაწილეობა ახალგაზრდა მკვლევართათვის დიდი შესაძლებლობაა, რათა ისინი არ ჩამორჩნენ თავიანთ დარგში უახლეს მოვლენებს, გააფართოვონ თავიანთი სანაცნობო ქსელი და სხვა მკვლევარებთან ერთად იმუშაონ ერთობლივ პროექტებზე.

ქვემოთ მოცემულია ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების ჩამონათვალი (რომლებიც მომავალშიც ჩატარდება) ახალგაზრდა მკვლევართა განვითარების მიზნით.

- ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია (AMSC) (ჩატარებულია 10-ჯერ)
- სტუდენტური კონფერენცია - კავკასიის გზაჯვარედინზე: რეგიონალური სტაბილურობის გამოწვევები (ჩატარებულია 5-ჯერ)
- ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია (განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერება) (ჩატარებულია 5-ჯერ)
- სტუდენტური კონფერენცია (სოციალურ მეცნიერებათა) (ჩატარებულია ორჯერ)

სტატიები

შსსუ-ს აქვს 5 ფაკულტეტის ჟურნალი, რომლებიც პერიოდულად გამოიცემა.

- შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალი (<https://jebs.ibsu.edu.ge>)
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი (<https://jh.ibsu.edu.ge/>)
- სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი (<https://jss.ibsu.edu.ge/>)
- ტექნიკური მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ჟურნალი (<https://jtst.ibsu.edu.ge/>)
- ბიზნესის ჟურნალი (<https://jb.ibsu.edu.ge/>)

სასწავლო ასისტენტი: წარმატებული მკვლევარები შესაძლოა ჩართული იყვნენ ასისტენტებად. მათთვის ეს არის პროცესი, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს მათ უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ მათ მიერ ადმინისტრაციული საკითხების გააზრებასაც.

პროექტები: ფაკულტეტები და კვლევითი ცენტრები მცირემასშტაბიან პროექტებს მართავენ. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზანს პროექტების ყველა ეტაპზე სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფაა.

ადმინისტრაციული ასისტენტი: ზოგი სტუდენტი შსსუ-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში ნახევარ-განაკვეთზე დასაქმებული.

ტრენგები: შსსუ კურსდამთავრებულებს და სასწავლო პროცესის ადმინისტრატორებს სთავაზობს ტრენინგებს, რომელიც აკადემიურ წერას, ნაშრომის/დისერტაციის წერას, ICT უნარებს და ციტირება/რეფერირების საკითხებს ეხება.

5.2. ტრენინგები

შესაძლებლობების შექმნისთვის განკუთვნილი ღონისძიებები ახალგაზრდა მკვლევართა განვითარებისა და მოქმედი აკადემიური პერსონალის თანამედროვე დონის შენარჩუნების განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა ფაკულტეტის თანამშრომლებისთვის შეთავაზებული იქნა ტრენინგების სერია შემდეგ თემებზე:

- პროექტის წერა, 2014-2015 წწ.
- აკადემიური დიზაინი, 2014-2015 წწ.
- აკადემიური წერა, 2016-2017 წწ.
- EndNote-ის გამოყენება ციტირებისთვის, 2015-2016 წწ.
- Microsoft Word-ის გამოყენება აკადემიურ პუბლიკაციებში, 2016-2017 წწ.
- სხვა სემინარები საერთაშორისო მკვლევარებისთვის.

ახალგაზრდა მკვლევარების უნარ-ჩვევების გამომუშავების კიდევ ერთი საშუალებაა მათი დასაქმება სასწავლო ასისტენტებად (TAs). ისინი ასევე ჩართულნი არიან ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ასევე კვლევის ჩატარებაზე ადევნებენ თვალს.

5.3. პერსონალის მოზიდვა

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ხაზგასმულია კვლევებისთვის ახალგაზრდების მიზიდვის მნიშვნელობა, რათა დაძლეული იქნას მკვლევართა დაბერების პრობლემა ქვეყანაში.

შსსუ კვლევებისთვის თანამშრომლებს სამი გზით იყვანს:

1. აკადემიური პერსონალი სტუდენტთა სწავლებისთვის, თავიანთ სფეროში არსებული კვალიფიკაციის მიხედვით;
2. მკვლევრები კვლევითი ცენტრებისთვის;
3. დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ასისტენტები კვლევითი ცენტრებისთვის.

აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევის წესით“ (R19) და გულისხმობს შერჩევის მკაცრ პროცესს კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შესარჩევი კომისიის ჩათვლით.

6. ინტერნაციონალიზაცია / კვლევითი ქსელის გაფართოება

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი დაწესებულებებს აძლევს თავისუფლებას, თავად განსაზღვრონ საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტები უცხოელ პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ის ფაქტი, რომ ყველა სადოქტორო პროგრამა შსს-ში ინგლისურენოვანია, უნივერსიტეტს ეხმარება გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის დონე. ქვემოთ ჩამოთვლილია ამისთვის განხორციელებული ნაბიჯები:

- შსს-ს ასაქმებს საერთაშორისო მკვლევრებს კვლევით ცენტრებში;
- ორიენტირებულია მოიძიოს საერთაშორისო ოპონენტები და ხელმძღვანელები;
- ეძებს გაცვლის პროგრამების შესაძლებლობებს;
- იწვევს საერთაშორისო მკვლევრებს მოკლე და/ან გრძელვადიანი სწავლებისთვის;
- ეძებს ერთობლივი პროგრამის შესაძლებლობებს;
- საერთაშორისო მკვლევრები ჩართული ჰყავს ფაკულტეტების ჟურნალების საგამომცემლო კოლეგიაში;
- ორგანიზებას უწევს საერთაშორისო კონფერენციებს და აფართოებს თავის ქსელს;
- აფორმებს ურთიერთგაგების მემორანდუმებს უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.


6.1. ერთობლივი ძალისხმევა სამეცნიერო ღონისძიებებში

შსს-ს ყველა სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებას ადგილობრივი და საერთაშორისო, საჯარო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით ცდილობს. ამგვარად, ის აძლიერებს თავის ქსელს და საშუალებას აძლევს მკვლევრებს თავიანთი კვლევის შედეგები სხვებსაც გაუზიარონ და ახალი ერთობლივი კვლევითი პროექტები წამოიწყონ.

6.2. გაცვლა, რომელიც გზას უხსნის ახალ კვლევებს

გაცვლითი შესაძლებლობები მნიშვნელოვანია აკადემიურ სფეროში კავშირების დასამყარებლად. გაცვლითი საქმიანობის აქტუალიზაციაში გადამწყვეტ როლს დაფინანსება ასრულებს. ამჯამად შსს-ს აფართოებს გაცვლის შესაძლებლობებს და ყოველწლიურად სულ უფრო მეტი მათგანი ფინანსდება გარე წყაროებიდან.

გაცვლითი პროგრამის დროს შსს-ს თანამშრომლები განიხილავდნენ თანამშრომლობის შესაძლებლობებს, მათ შორის (თუმცა, არა მარტო) იწვევდნენ მასპინძელ უნივერსიტეტს შსს-ს ჟურნალების სარედაქციო კოლეგიაში და/ან რეცენზენტებად, ერთობლივ სამეცნიერო ღონისძიებებში და პუბლიკაციებში, დოქტორანტთა თემის ოპონენტებად და/ან ხელმძღვანელებად და ა.შ. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში ნაჩვენებია უცხოეთში გასულ თანამშრომელთა რაოდენობა.



6.3. ელექტრონული ბაზების გამოწერა

როგორც ჩანს, ბიბლიოთეკებმა დაკარგეს ძველი ხიბლი და თავიანთი ადგილი ელექტრონულ ბაზებს დაუთმეს. შხსუ-ს რამდენიმე ელექტრონული ბაზაზე აქვს წვდომა მოპოვებული (Web of Science, EBSCO, JStore, Polpred), და მომავალშიც აპირებს გააფართოვოს მათი მოცულობა, რათა უკეთ ემსახუროს მკვლევრებს და სტუდენტებს.

6.4. წევრობები

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც არის ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA – eua.be), მიზნად ისახავს ერთობლივი ინსტიტუტების მიღებას უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების მიზნით. "შხსუ" EUA-ს სავალდებულო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად და სადოქტორო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს წევრი გახდა (eua-cde.org).

7. გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23> Bajpai, N. (2011). Business research methods. Pearson Education India.
2. European Commission. (2018a). Goals of research and innovation policy, https://ec.europa.eu/info/research-and-innovation/strategy/goals-research-and-innovation-policy_en
3. European Commission. (2018b). Horizon 2020 Policy Support Facility, <https://rio.jrc.ec.europa.eu/sites/default/files/report/PSF%20Factsheet%20Georgia.pdf>

4. European Commission. (2018c). Europe 2020 Strategy, https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/economic-and-fiscal-policy-coordination/eu-economic-governance-monitoring-prevention-correction/european-semester/framework/europe-2020-strategy_en
5. საქართველო მთავრობა. (2018). საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020. http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/social-economic_development_strategy_of_georgia_georgia_2020.pdf
6. IBSU-ს სტრატეგიული გეგმა. (2018). გამოუქვეყნებელი სტრატეგიული გეგმა, IBSU, თბილისი, საქართველო
7. Kothari, C. R. (2004). Research methodology: Methods and techniques. New Age International
8. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი. (2018a). No.672. 30.04.1997წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28426>
9. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. (2018b). No.688, 21.12.2004წ.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge

